

**პროფესორ შოთა მაკაროვის ხსოვნა  
(9.01.1944 – 01.2017)**



**შოთა მაკაროვი** – ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ინფორმატიკაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის „მართვის ავტომატიზებული სისტემების“ კათედრის პროფესორი, დისციპლინების „მცირე ბიზნესის მართვის პროცესების ავტომატიზაცია“, „მონაცემთა დამუშავების და მართვის ავტომატიზებული სისტემები“ წამყვანი პროფესორი. მრავალი წიგნისა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მართვის ავტომატიზებული სისტემების კათედრის თანამშრომელი მისი დაარსების პირველივე დღიდან, ბერძნულ-ქართული ჰუმანიტარული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. პრინციპული, ერთგული და გულისხმიერი კოლეგა და მეგობარი, მოსიყვარულე მეუღლე, მამა და ბაბუა.

ბატონი შოთა მაკაროვი დაიბადა 1944 წლის 9 იანვარს წალკაში. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრებისთანვე, 1962 წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე „ავტომატიკისა და ტელემექანიკის“ სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1968 წელს ინჟინერ-ელექტრიკოსოს კვალიფიკაციით. იყო მაღალკვალიფიციური მეცნიერი წარმოების ოპტიმალური დაგეგმვისა და მართვის პროცესების სფეროში. 1976 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „Модели и алгоритмы оптимального планирования и управления производства и распределения продукции на уровне республика – регион“. 1977 წელს მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, ხოლო 1988 წელს უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ მიენიჭა დოცენტის აკადემიური წოდება „მართვის ავტომატიზებული სისტემების“ კათედრის სპეციალობით.

ბატონი შოთა მაკაროვი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის „მართვის ავტომატიზებული სისტემების“ კათედრაზე მუშაობდა 1971 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე, იყო კათედრის ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი და პროფესორი. 1988-1991 წლებში შეთავსებით მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უცხოელ სტუდენტთა სწავლების ფაკულტეტის დეკანის მოადგილის თანამდებობაზე.

პროფესორი შ. მაკაროვი თავის ცხოვრების შინაარსიან წლებს უკავშირებს ახალგაზრდობის განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, ავტომატიზებული

სისტემების სრულყოფის, ტექნიკისა და ტექნოლოგიების ახალი მეცნიერული მიღწევებისა და დანერგვის საკითხებს. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე სახელმძღვანელო და 50–ზე მეტი სამეცნიერო სტატია. განსაკუთრებით დიდი წვლილი აქვს შეტანილი კათედრის სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკების ორგანიზაციაში, რომელსაც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა. იგი აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში. იყო არაერთი წარმატებული დოქტორანტის და მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

ბატონი შოთა იყო ბერძნულ-ქართული ჰუმანიტარული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ბერძნულ-ქართული საზოგადოების საბჭოს აქტიური წევრი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით საქართველოში მცხოვრები ბერძნულ ოჯახთა ბავშვები, ასევე ქართველი ახალგაზრდები ხშირად სტუმრობდნენ საბერძნეთს მეგობრული კავშირების დასამყარებლად და გასაფართოვებლად.

უდავოდ დიდია პროფესორ შოთა მაკაროვის დამსახურება, როგორც ინჟინრისა და პედაგოგის.

სამართლიანი, ჭეშმარიტად ქრისტიანი და მაღალჰუმანური პრინციპების პიროვნება, ბატონი შოთა იყო შესანიშნავი მეოჯახე კაცი, ერთგული, მოსიყვარულე მეუღლე, მამა და ბაბუა.

წავიდა ჩვენგან თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი, სამაგალითო ბერძნულ-ქართული ოჯახის თავკაცი, რომელსაც ერთნაირად უყვარდა როგორც საბერძნეთი, ასევე საქართველო, იგი იყო ქართული ტრადიციების პატივისმცემელი, ჭეშმარიტად ღირსეული მამულიშვილი და ეროვნული ტექნიკური ინტელიგენციის შესანიშნავი წარმომადგენელი, რომლის სახელს დიდხანს არ დაივიწყებენ მისი მადლიერი შთამომავლობა, მეგობრები და კოლეგები.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი,  
ჟურნალის რედაქცია**